1 ოქტომბერი

ხუთშაბათი
2026

რიგითი XXVI კვირა [II]

ყრმა იესოსა და უფლის წმიდა სახის წმ. თერეზა, ქალწული, კარმელიტელი, ეკლესიის მოძღვარი, +1897 ლიზიეში (საფრანგეთი), (მ), თ

იობ 19,21-27; ფს 26; ლკ 10,1-12

მისიონერთა თვე

მშვიდობა ამ სახლს ლკ 10,5

ვიწყებთ ოქტომბრის თვეს, თვეს რომელიც ეძღვნება ლოცვას ეკლესიის მისიებისთვის, გვახსოვს ყრმა იესოს წმიდა ტერეზა. მისი სურვილი იყო უზარმაზარი: მთელი სამყაროს მიზიდვა იესოსკენ, რომ მთელ სამყაროს ჰქონოდა მშვიდობა. და მშვიდობა არის ცხოვრების სისრულე, რომლის მოცემა მხოლოდ მამა ღმერთს შეუძლია.

2 ოქტომბერი

პარასკევი
2026

რიგითი XXVI კვირა [II]

წმ. მფარველ ანგელოზთა, (მ), [ს], თ

გამ 23,20-23; ფს 90; მთ 18,1-5.10

თუ არ მოექცევით... მთ 18,3

ჩემ მფარველ ანგელოზს ყოველდღე სურს ჩემი მოქცევა. ყოველდღე მჭირდება კვლავ დავუკავშირდე იესოს, ანგელოზთა სიხარულს. მათ, ღმერთის შიკრიკებს, მოაქვთ ჩემთვის მისი სიტყვა. ვინც არის ბავშვივით, იღებს და იძლევა სიხარულს, რომელიც ავსებს ზეცას.

3 ოქტომბერი

შაბათი
2026

რიგითი XXVI კვირა [II], მწ

იობ 42,1-3.5-6.12-17; ფს 118; ლკ 10,17-24

იესო ხარობს ხედავს თავისი მოწაფეების მო-
რჩილებას, მორჩილებას რომელსაც მთელი
სამყაროსთვის მოაქვს ნაყოფი. უპირველეს
ყოვლისა ხედავს სიყვარულს, რომლითაც
მამა მათ ფარავს და ავსებს: ისინიც ხდებიან
ღმერთის დიდებად, მისი სიყვარულის გამო-
ცხადებად!

რიგითი XXVII კვირადღე, «ა», [III], მწ

[წმ. ფრანცისკე ასიზელი, ფრანცისკელთა დამაარსებელი, +1226 ასიზიში, (მ), თ]

ეს 5,1-7; ფს 79; ფილ 4,6-9; მთ 21,33-43

მ. იან სნეჟინსკის გახსენება (+2011)



მთ 21,42

იესო ცხოვრობს ძველი აღთქმის წმიდა წერილებში, ჩაძირულია მათში, იცის რომ ისინი საუბრობენ მის შესახებ. მისი სიხარულები და მისი ტანჯვები აღწერილია იქ. ადამიანებს შეუძლიათ უყონ მას რაც უნდათ, მაგრამ ღმერთი ახორციელებს თავის ჩანაფიქრს. და ახორციელებს მას აგრეთვე ადამიანთა ცოდვების გამოყენებითაც. წმიდა ფრანცისკეს ცხოვრებაც იმეორებს ამ წერილს!

წმ. ფაუსტინა კოვალსკა,
პოლონელი მონაზონი, +1938 კრაკოვში

გალ 1,6-12; ფს 110; ლკ 10,25-37

რუსთავის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ესი ტ ეერ ასე ოიქეი ლკ 10,37

რას გააკეთებ? იმას, რასაც იგავის სამარიელი აკეთებს. ის ყურადღებიანია ტანჯულის მიმართ, რომ დაეხმაროს და მოუაროს მას ნამდვილი სიყვარულით. მისი რელიგიური იდეები არასრულყოფილია ან მცდარიც, მაგრამ ღმერთი უყურებს გულს: ის ჰგავს მისას.

წმ. ბრუნო, ხუცესი, დიდი შარტრის დამაარსებელი, +1101 კალაბრიაში

გალ 1,13-24; ფს 138; ლკ 10,38-42

მარიამი ისმენდ მის სიტყვას ლკ 10,39

მართას უყვარდა იესო საკუთარი გულითა და საქმეებით. მარიამი კი, უპირველეს ყოვლისა, იღებდა იესოს სიყვარულს. ეს ავსებდა მის ცხოვრებას და ცვლიდა მას. მართას მოუხდა მისგან სწავლა, რათა მოსწონებოდა იესოს!

სავარდის ნეტარი ქალწული მარიამი, (მ), თ

გალ 2,1-2.7-14; ფს 116; ლკ 11,1-4

(ან საქმე 1,12-14; ფს: ლკ 1,46-55; ლკ 1,26-38)

ახალციხის რაბათის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

პროფერია შეუძლებელი ღმერთისთვის ლკ 1,37

წმიდა სავარდის დღესასწაულზე ვაკვირდებით მარიამს, როცა უსმენს ანგელოზს, რომელიც მოულოდნელად ესტუმრება მას თავის სახლში და ეუბნება ამ სიტყვებს. სურდა სცოდნოდა როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ის, რაც მას აუწყეს. მაგრამ მითითება ღმერთზე, ღმერთზე რომელმაც საოცრებანი მოიმოქმედა თავისი ხალხისთვის, ფანტავს ყოველ ეჭვს. თუ სიტყვები მოდის მისგან, ვის შეუძლია ეჭვის შეტანა?

(25.IX) წმ. არსენ დიდი კათალიკოსი, +887

გალ 3,1-5; ფს: ლკ 1,69-75; ლკ 11,5-13

ითხოვეთ და მოგეცემათ ლკ 11,9

იესო ასწავლის ლოცვას. ასწავლის ლოცვას, არა ლოცვების თქმას! მლოცველის გულში უნდა იყოს ნდობა, მტკიცე ნდობა, რომელიც არ ირღვევა მაშინაც, როცა ლოცვა არაა შეს-მენილი. ვინც ლოცულობს, იცის რომ მამის წინაშეა: ხარობს მასთან ყოფნით, მაშინაც კი როცა შედეგი არ ჩანს.

*წმ. დიონისე პარიზის ეპისკოპოსი
და მისი მეგობრები, წამებულნი, +III*ს
*წმ. იოანე ლეონარდი, ხუცესი, დედა ღვთისას
მოწესე მღვდელთა დამაარსებელი,
+1609 რომში*

გალ 3,7-14; ფს 110; ლკ 11,15-26

მ. პეტრე ხარისჭირაშვილის გახსენება (+1892)

მართალი რწმენით იცოცხლებს გალ 3,11

მართალი, ანუ ვინც ემორჩილება ღმერთს, იღებს სიცოცხლეს, სუნთქვას, საკუთარი რწმენიდან. რწმენა, სინამდვილეში, არის ურთიერთობაში ყოფნა მამასთან, და ვინც მასთან არის, ეხვევა მის ერთგულ და მოწყალე სიყვარულში: იღებს სიცოცხლეს, ღვთაებრივ, საუკუნო სიცოცხლეს!

გალ 3,22-29; ფს 104; ლკ 11,27-28

ნეტარ არიან ისინი, ვინც უსმენენ ღმერთის სიტყვას ლკ 11,28

იესო პასუხობს ქალს, რომელიც ხმამაღლა აქებს მის დედას, რადგან მისი დედაა! იგი მას შეუსწორებს. მარიამი, მისი დედა, დიახაც ნეტარია, მაგრამ იმიტომ რომ მოისმინა და იცხოვრა იმით, რაც ღმერთმა უთხრა. ეს კი შეუძლია ყველას, თუნდაც იმ ქალსაც, რომელმაც ხმა აიმაღლა.

11 ოქტომბერი

კვირა
2026

რიგითი XXVIII კვირადღე, «ა», [IV], მწ

[წმ. იოანე XXIII, პაპი, +1963 რომში]

ეს 25,6-10; ფს 22; ფილ 4,12-14.19-20; მთ 22,1-14



მთ 22,11

ყველანი იყვნენ მოწვეული, სწორედ ყველანი, ცუდებიც და კარგებიც. არ არის ცუდი ის, ვინც იპყრობს მეფის ყურადღებას, არამედ იგი თვლის რომ უფლება აქვს იჯდეს ნადიმზე. არ მიიღო საქორწილო სამოსი, რომელიც შესთავაზეს, ამაყად ამბობდა: მე არაფერი მჭირდება! მოკრძალება არ იყო მის სულიერ ბარგში, ამიტომაც გადააგდებენ.

12 ოქტომბერი

ორშაბათი
2026

რიგითი XXVIII კვირა [IV], მწ

გალ 4,22-24.26-27.31 - 5,1; ფს 112; ლკ 11,29-32

აქ არის იონაზე დიდი ლკ 11,32

იესო გაოცებულია იმით, რომ მისი არ სწამთ. წარმართებმა იწამეს ‘თუთიყუშს’ წინასწარმეტყველის, იონას სიტყვა, რომელიც დიახ, აცხადებდა ღმერთის სიტყვებს, მაგრამ მათ იმეორებდა მისი გულმოწყალების გაზიარების გარეშე. იესო, პირიქით, შემოსილია მოწყალებით, მაგრამ ისინი არ უსმენენ მას. სწყინს: თუ მას არ იწამებენ, არ ექნებათ წილი ზეციურ სასუფეველში!

13 ოქტომბერი

გალ 5,1-6; ფს 118; ლკ 11,37-41

რწმენა... ხდება მოქმედი სიყვარულის ძალებით გალ 5,6

აჰა, რაც მნიშვნელოვანია, ამბობს წმიდა პავლე. ის, რაც ღმერთს სწადია, არ არის გარეგანი რიტუალური პრაქტიკა, არამედ ის, რაც ხდება მორწმუნის გულში. მისი რწმენა ხდება ხილული, რადგან მოაქვს ძალიან კონკრეტული სიყვარულის ნაყოფი.

(1.X) დღესასწაული კვართისა;
წმმ. მირიან და ნანა, IVს.;
წმ. მელქისედეკ I, კათალიკოს-პატრიარქი, +1033
წმ. კალიქსტე I, პაპი, წამებული, +222

გალ 5,18-25; ფს 1; ლკ 11,42-46

მცხეთობა (სვეტიცხოვლობა, კვართის დღესასწაული)

ლკ 11,42

იესო საუბრობს ფარისევლებზე, რომლებიც იცავენ ბევრ წესს, რომელსაც მცირე მნიშ-ვნელობა აქვს, რომლებიც მცირედ ფასობს და კიდევ უფრო ნაკლებ ზეგავლენას ახდენს ცხოვრებაზე. თვლიან თავს წესრიგში, თუმცა ივიწყებენ მოწყალების და პატიების გამოჩე-ნას. ვინც ივიწყებს სიყვარულს, ვერ იქნება წესრიგში მამა ღმერთის წინაშე!

(2.X) წმმ. დავითი და კონსტანტინე, მოწამენი +740 (მ), წ
წმ. თერეზა ავილელი, კარმელის რეფორმატორი, ქალწული, ეკლესიის მოძღვარი, +1582, (მ), თ

ეფეს 1,1-10; ფს 97; ლკ 11,47-54

მ. მიხეილ თარხნიშვილის გახსენება (+1958)

ძასმი აგვირჩია, რომ ვიცოცხლნი ეფეს 1,4

მამა ღმერთს სურდა იესოს ცხოვრებაში ვყოფილიყავით მუდამ. იქიდან აგვირჩია და განგვსაზღვრა რომ ვიცხოვროთ მისი სიწმიდით, ანუ მისი სიყვარულით, რომელიც არაა მიკერძოებული, სიყვარულით, რომელსაც შეუძლია სიცოცხლის, მშვიდობისა და სიხარულის მინიჭება თუნდაც მათთვის, ვინც არ იცნობს მათ.

16 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV], მწ

პარასკევი

2026

წმ. იადვიგა, ოჯახის დედა, შემდგომ მონაზონი, +1243 სილეზიაში;
წმ. მარგარიტა მარია ალაკოკი, ქალწული, +1690 პარეილომონიალში (საფრანგეთი);
წმ. ჯუზეპინა ვანინი, ქალწ., +1911

ეფეს 1,11-14; ფს 32; ლკ 12,1-7

ძმაო ბატონო ქრისტეს ფასობთ ლკ 12,7

იესო, მადლობა შენი გაფრთხილებებისთვის
არ მივიღოთ ცრუ ან თვითკმარი დამოკიდე-
ბულებები, არამედ ვენდოთ მამას და ვიყოთ
ერთგულნი შენდამი და შენი სიტყვისადმი:
ეს არის ყველაზე დიდი მადლობა იმის გამო,
რომ ძვირფასად მიგაჩნივართ.

წმ. ეგნატე, ანტიოქიის ეპისკოპოსი, წამებული, +~107 რომში, (მ), წ

ეფეს 1,15-23; ფს 8; ლკ 12,8-12

ყოველმა მოგკვეთ სიბრძნის სული ეფეს 1,17

"... მისი ღრმა ცოდნისთვის". შენ, იესო, გვი-ნათებ იმას, რაც ნამდვილად მნიშვნელოვა-ნია: ჩვენი წარმომავლობა, ჩვენი ცხოვრების მიზანი, გზა რომ არ დავკარგოთ იგი. შენი სიტყვა არის სინათლე ჩვენი ნაბიჯებისთვის. შენგან ვითხოვ სიბრძნეს, რომ გაგიცნო და გაგაცნო.

[წმ. ლუკა, მახარებელი, დ, [ს], წ]
[(5.X) წმ. ღირსი გრიგოლ ხანძთელი, +მწ1]; კლარჯეთის უდაბნოს ღირსნი მამანი და დედანი, VIII-IXსს]

ეს 45,1.4-6; ფს 95; 1თეს 1,1-5; მთ 22,15-21

მისიონერთა მსოფლიო დღე, შესაწირი მისიებისთვის

მო-ძღვარო, ვიცით რომ ჭეშმარიტი ხარ მთ 22,16

იესო, იუდეველებმა გითხრეს ეს სიცრუით, მე კი დარწმუნებული ვარ ამაში. ამიტომ დღეს ვიკრიბებით შენს ძმებთან ერთად ეკლესიაში, რომ მოგისმინო და დავპურდე შენით. შენ მომცემ სინათლეს, რომ მამას მივენდო და დავყვე მთლიანად, მამას რომელიც იმსახურებს, და ასე ვიცოდე როგორ გადავცე სხვებს, ხელისუფალთა ჩათვლით, მთელი სიყვარული და პატივისცემა, რასაც ის მოითხოვს ჩემგან.

19 ოქტომბერი

ორშაბათი
2026

წმმ. იოანე დე ბრებეფი, წმ. ისააკ ჟოგი, ხუცესნი და მათი მეგობარი იეზუიტები, წამებულნი, +1642-1649წწ კანადასა და აშშ-ში; / წმ. პავლე ჯვრისა, ხუცესი, პასიონისტთა დამაარსებელი, +1775 რომში

ეფეს 2,1-10; ფს 99; ლკ 12,13-21

უფრთხილით ყოველგვარ სიხარბეს ლკ 12,15

მემკვიდრეობა, ოჯახებში, ხშირად არის კამათისა და მძიმე უთანხმოების მიზეზი. იესო გვმოძღვრავს არ ვიყოთ მიჯაჭვულნი მატერიალურ ქონებას და ფულს, საგნებს, რომლებიც დროებითია და უნდა დავტოვოთ სამუდამოდ. ვიზრუნებთ ძმურ სიყვარულზე, მამა ღმერთის სადიდებლად.

20 ოქტომბერი

ეფეს 2,12-22; ფს 84; ლკ 12,35-38

იყავით მზად, ჩაცმულ-ოსტაფულნი ლკ 12,35

სამოსი აუცილებელია, მაგრამ თუ ცუდად გვაცვია, შეიძლება იქცეს დაბრკოლებად. ჩვენი ბევრი ყოველდღიური საქმიანობა საჭიროა, მაგრამ თუ არ არის კარგად მიმართული, გვიშლის ხელს. ბატონის მოსაწონი მსახური ისაა, ვინც, დიახ ფხიზლობს და თავის ადგილასაა, ოღონდ იმიტომ, რომ მის მოლოდინშია, რათა გაუღოს და მიიღოს იგი მაშინვე, არა გონებაგაფანტული რომ ფაციფუცობს, რომელსაც ავიწყდება მთავარი.

21 ოქტომბერი

ოთხშაბათი
2026

რიგითი XXIX კვირა [I], მწ

ეფეს 3,2-12; ფს: ეს 12,2-6; ლკ 12,39-48

ვისცა ბევრი მიეცა, ბევრს მოსთხოვენ ლკ 12,48

მაშ, არ შეგვშურდება იმათი, ვისაც ეკლესიაში მიეცა დავალებები, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანი ჩანს. ვილოცებთ, მაგრამ, ერთმანეთისთვის, რათა ყველამ შევძლოთ ღირსეულად ვემსახუროთ უფალს და, რათა მან მიგვიღოს ჩვენ თავისი სასუფევლის სიხარულში, ყოველდღე უკვე აქ დედამიწაზე, და შემდეგ სამუდამოდ სამოთხეში.

22 ოქტომბერი

ხუთშაბათი
2026

რიგითი XXIX კვირა [I], მწ

წმ. იოანე პავლე II, პაპი, +2005 რომში

ეფეს 3,14-21; ფს 32; ლკ 12,49-53

ამქვეყნად ცეცხლის მოსატანად მოვედი ლკ 12,49

მადლობა, იესო, რომელიც მოხვედი დედამიწაზე, რათა მოგეტანა მამა ღმერთის მთელი სიყვარული შენი სიცოცხლით, სიკვდილითა და აღდგომით. მადლობა, რომ კვლავაც განაგრძობ ამას იმათი მეშვეობით, ვისაც უყვარხარ შენივე სულის მხარდაჭერით, მაშინაც კი როცა ეს მათ ტანჯვად უჯდებათ. მეც მინდა თანავიღვაწო შენთან.

23 ოქტომბერი

პარასკევი
2026

წმ. იოანე კაპესტრანელი, ხუცესი, ფრანცისკელი, +1456 ილოკში (ხორვატეთი)

ეფეს 4,1-6; ფს 23; ლკ 12,54-59

ერთია ღმერთი, რომელიც არის ყოველთა ზედა ეფეს 4,6

წმინდა პავლე მოუწოდებს ქრისტიანებს იცხოვრონ როგორც ღმერთის შვილებმა, და შესაბამისად, როგორც ძმებმა, თავმდაბლად, მშვიდად, სავსე სიყვარულით, იესოს დარად. ვიქნებით მორჩილნი წმიდა სულისადმი, რომელიც ჩვენშია და გვაერთიანებს ღვთის სადიდებლად.

24 ოქტომბერი

შაბათი

2026

რიგითი XXIX კვირა [I], მწ

წმ. ანტონ მარია კლარეტი, ეპ., +1870;
ნ. ჯუზეპე ბალდო, წმ. იოსების მცირე ასულთა კონგრეგაციის დამაარსებელი, +1915

ეფეს 4,7-16; ფს 121; ლკ 13,1-9

წმ. იოსების მცირე ასულთა კონგრეგაციის დღესასწაული

ვინცა-თ თუ მო-ი-ტ-ანს ნა-ყო-ფს მო-ძა-ყალ-ი ლკ 13,9

მამა ღმერთი ძალზე მომთმენი და კეთი-ლმოსურნეა ყველასათვის; ის ელის ჩემსა და ჩვენს მოქცევას. სულგრძელობს და მიწვდის თავის ძეს და თავის ეკლესიას, რომელიც მთავაზობს შესაძლებლობებს გავხსნა გული გულუხვობისა და გაზიარების კონკრეტული საქმეებისთვის, რათა ჩემმა ცხოვრებამაც მო-იტანოს ნაყოფი. არ მინდა იმედი გავუცრუო მას. იესო, შეიწყალე!

გამ 22,20-26; ფს 17; 1თეს 1,5-10; მთ 22,34-40

მ. გაბრიელ ასლანაშვილის გახსენება (+1930)

ეს ორი მცნებაზეა ღმოკიდებული მთელი
რჯული ღ ეინასიარეანეაკუთელები მთ 22,40

რომლებზე? "შეიყვარე უფალი შენი ღმერთი შენი მთელი გულით, შენი მთელი სულით და მთელი შენი გონებით" და "შეიყვარე მოყვასი შენი როგორც საკუთარი თავი". ყველაფერი, რაც მამას სურდა ეთქვა წმიდა წერილებით, თქვა იმისთვის რომ ვეცადოთ დავემსგავსოთ მას სიყვარულში. იესო გვაძლევს გარკვეულ პასუხებს, რადგან ის არის მამის სიყვარულის განხორციელება, ცოცხალი და ჭეშმარიტი ღმერთი, მოწყალე ღმერთი.

26 ოქტომბერი

ორშაბათი
2026

რიგითი XXX კვირა [II], მწ

ეფეს 4,32 - 5,8; ფს 1; ლკ 13,10-17

ტკბო ხელები ჰ ის ცაძძართ ლკ 13,13

შენი ხელი, იესო, არის ხელი, რომელიც ყველას "გვასწორებს": მაღლა სწევს ჩვენს თავს, რომ ჩვენი მზერა, ამ სოფლიდან, რომელიც ყოველთვის სავსეა ჩივილის მიზეზებით, მიმართოს მამისკენ: მას კვლავაც ვუყვარვართ!

27 ოქტომბერი

სამშაბათი
2026

რიგითი XXX კვირა [II], მწ

ეფეს 5,21-33; ფს 127; ლკ 13,18-21

ვართ მისი სხეულის წევრები ეფეს 5,30

არ გავოცდებით, მაშ, არც ტანჯვით და არც სიხარულით, რასაც რწმენის გამო განვიცდით. ნათლობით, მართლაც, გავხდით ეკლესიის ნაწილი, ქრისტე იესოს ნამდვილი სძალი, მისი სიკვდილისა და აღდგომის მონაწილე სამყაროს სიცოცხლისათვის.

28 ოქტომბერი

ოთხშაბათი
2026

წმმ. სიმონი და იუდა, მოციქულნი, დ, [ს], წ

ეფ 2,19-22; ფს 18; ლკ 6,12-19

სოხუმის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

გამოარჩია თორმეტი ლკ 6,13

ესენი არიან თორმეტნი, რომლებიც იესომ აირჩია მრავალი მოწაფიდან, ლოცვის ღამის შემდეგ; მათ შორის, სიმონი და იუდა. რას ნიშნავს მოციქულთა მიზეზით ზეიმი? ნიშნავს მათი მოწოდების და მათი პასუხის აღიარებას, იმ მსხვერპლის აღიარებას, რომელიც დაითმინეს იესოს სიყვარულისთვის, მათი სწავლების მიღებას და ცხოვრებას, სიხარულითა და მადლიერებით, რომ ჩვენც იესოს ვეკუთვნით. ვთხოვოთ მათ დახმარება, როგორც უფროს ძმებს.

29 ოქტომბერი

ხუთშაბათი
2026

რიგითი XXX კვირა [II], მწ

(16.X) წმ. ღირსი ზენომ იყალთოელი, მონაზონი, VIს

ეფეს 6,10-20; ფს 143; ლკ 13,31-35

ამ ქალიშვილს ასურელ ძიძეობა ამინ შვილები ლკ 13,34

"... როგორც კრუხი". იესო, შენ კეთილი ხარ, სიყვარულით სავსე, ჩვენი გულქვაობის მიუხედავად. შენ არ ერიდები საკუთარი თავი კრუხს შეადარო: არაერთხელ გინახავს, როგორ იფარებს თავის წიწილებს ფრთებქვეშ, მტაცებელი ჩიტებისგან დასაცავად, გასათბობად, ერთად შესაკრებად...
იესო, შემიფარე შენს ფრთებქვეშ, ჩემს ყველა ძმასთან ერთად!

30 ოქტომბერი

პარასკევი
2026

რიგითი XXX კვირა [II], მწ

ფილიპ 1,1-11; ფს 110; ლკ 14,1-6

შეიძლება თუ არა განკურნება შაბათ დღის? ლკ 14,3

იესო, დამეხმარე რომ შევასრულო ყოველი რელიგიური პრაქტიკა წმიდა სულის ხელმ-ძღვანელობით. მაშინ მივიღებ ყველა გარე-მოებას შენი სიყვარულით ყველას მიმართ, როგორც შენ გააკეთე, მამა ზეციერის სადი-დებლად.

31 ოქტომბერი

შაბათი
2026

რიგითი XXX კვირა [II], მწ

ფილიპ 1,18-26; ფს 41; ლკ 14,1.7-11

ვინც თქვს ტიტლბლოებს, აძარდება ლკ 14,11

ჩვენც მოგვწონს თავმდაბალი ადამიანები, რომლებიც აღიარებენ როგორც საკუთარ სიმცირეს, ასევე სხვების ნიჭებს. გვინდა გავამხნევოთ ისინი, მივმართოთ სწორედ მათ, როცა რამე დაგვჭირდება. ასე მოიქცევა უფალი ჩვენთან.